

დროები ს რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-  
რაფოვის სახლში.  
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;  
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე  
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлиси, ред. «Дრობა»  
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ.; 10 თვით—  
8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—  
6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4  
მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკა.

ბამონის ურაველ-ლევ ორშაბათს გარდა.



ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე—სტრუქტურაზე  
8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული განცხადებით—პერსონ-  
ალი 25 მანათი; პირველი 5 მანათი რუსული სტრუქტურა-  
ლისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვა-  
ლობაზედ.  
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს  
და შეამოკლებს დასაბუქდად გამოგზავნილ წერილებს  
დაუბუქდად წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს  
ავტორს.  
Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за  
границы принимаются только въ цент., конторѣ  
объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

გამოვიდა და ურიგდება ქუჩისალი

# ნოვათი

როგორც 1885 წ., აგრეთვე  
1884 წ. ხელის-მოწერაღებს.

მიიღება ჟურნალში ამ წლის ხმ-  
ლის-მოწერა. (3-2)

## სათვართო განცხადება

ამ წლის მარტის 31-იდან, მაი-  
სის 1-ლამდის და ამავე წლის ოქ-  
ტომბრის პირველიდან 1886 წლის  
აღებადმდის ქართული დრამატიუ-  
ლი დასი დაიწყებს წარმოდგენე-  
ბის გამართვას. ამის გამო დასის  
გამგეობა მოიწვევს, როგორც  
მკვლს არტისტებს აგრეთვე დასში  
ახლად შემოსვლის მსურველთა,  
წარუდგინონ თავიანთი პირობანი  
დასის საქმეთა გამგეს.

(6-3) საქმეთა გამგეობის მიერ

## ერთი წიგნის გამო- ვუძღვნი ჩვენს დედებს.

რომის ისტორიაში მოყვანილია ერთი  
ფრიად შესანიშნავი და საყურადღებო  
მაგალითი დედისაგან შვილების სიყვა-  
რულისა, რომელიც ყოველს წამკი-  
თხველს გულში ღრმად ჩარჩება.  
მართი ისტორიული პირის, გვარად  
ზრახვის, ქვრივის, ძორნელიას, ჰყვანდა  
ორი ვაჟიშვილი, რომელნიც მამის  
სიკვდილის შემდეგ პატარები დარჩენ-  
ძორნელიას საკმაო შეძლება ჰქონდა  
და ძლიერ გონება-განვითარებული  
დედა-კაციც იყო. მას კარგად ესმოდა  
აღამიანის სიყრმიდგანვე კეთილი აღზრ-  
დის მნიშვნელობა და ამიტომ არაფი-  
თარ ღონისძიებას არა ჰზოგავდა თა-  
ვისი ორი შვილის განიერულად  
აღზრდისათვის. შემდეგში ეს ორი  
ობოლი დედის მეოხებით შე-  
სანიშნავი სახელმწიფო კაცი გამო-  
ვიდნენ. მათი სახელი უკუნიითი უკუ-  
ნისამდე არ ამოიფხვრება ისტორიის  
ფურცლებიდან და ყოველი ვინც კი  
თანამედროვე საშუალო სასწავლებელს  
მინც გამოივლის, უჭველოდ გაიც-  
ნობს მათა ზრახვისა ამაზეს.  
მართხელ, როდესაც ეს ობოლი ძმე-  
ბი ჯერ ისევე პატარები იყვნენ, მათს  
დედას, ძორნელიას, ეწვია სტუმრად  
ძველი მისი მეგობარი ქალი, რომელ-

## ზოგიერთი შენიშვნები

ნასწავლი კაცებისაგან ქვემარტებად  
არის ნაცნობი ის აზრი, რომ ყველ-  
გან საზოგადოებისაგან თვალ-ყურის  
დევნას თავის ცხოვრებაზედ, ე. ი.  
იმაზედ, თუ როგორ მიმდინარეობენ  
იმის საზოგადოებრივი საქმენი და რო-  
გორი მსვლელობა იქნება მათთვის  
უკეთესი—დიდი მნიშვნელობა აქვს  
ცხოვრების გაუმჯობესობისათვის. რაკი  
საზოგადოება დაფიქრებით დაუწყებს  
ცქერას თავის ცხოვრებას, იგი, უჭე-  
ველია, შეიმუშავებს გონიერულ სა-  
ზომს და უკანასკნელს გაიხდის გზის-  
მაჩვენებელ გრეხილად ცხოვრების ლა-  
ბირინტში. იგი მაშინ უფრო ადვი-  
ლად მიხვდება, თუ რა არის მისთვის  
სასარგებლო და რა მავნებელი, რა-  
მელ აზრს და მოქმედებას უნდა თანა-  
უგრძნოს და რომელს წინააღმდეგი გა-  
უხდეს. ამ შემთხვევაში საზოგადოება  
ყველგან და ყოველთვის იზოვის სა-  
შუალებას, რომ ცოტად თუ ბევრად  
განახორციელოს თავისთვის სასარგებ-  
ლოდ ნაცნობი სურვილი.

საზოგადოების ის ნაწილი, რომელ-  
საც მდგომარეობა ნებას აძლევს იქო-

ვაც ძორნელიას სიმდიდრე გაგებული  
ჰქონდა. მალს ძორნელიასთან ბაასის  
ღროს დასძლია ცნობის მოყვარეობამ  
და მიჰპართა მას შემდეგის სიტყვე-  
ბით:

— ძორნელია, საშინლად მინდა, მა-  
ჩვენო შენი ქონების უპირველესი და  
უძვირფასესი საუნჯე.  
— აღვილია, ჩემო მეგობარო, შე-  
ნი სურვილის აღსრულება; წამომეყ  
და ამ წუთსავე გიჩვენებ.  
ამ სიტყვების შემდეგ ძორნელია  
გაემართა ერთ ოთახისაკენ, სადაც თა-  
ვის მეგობარიც შეიწვია. აქ მან გა-  
დახადა ფარდა, გამოაჩინა სარეცე-  
ლი, მიუთითა მეგობარს და უთხრა:  
— ჰხედავ, ერთად მწოლიარეთ და  
ტუბილის ძილით მიძინარეთ ჩემს ორს  
შვილს? მეგონი, მხოლოდ ეგენი შედა-  
გენენ ჩემს უპირველესს და უძვირფა-  
სესს საუნჯეს; მაგათ გაზემე სხვა  
სიმდიდრე არ ვიცი...  
მართლაც, რა არის კეთილი შვი-  
ლი ნამდვილი მშობლებისათვის, თუ  
არ უპირველესი და უძვირფასესი სა-  
უნჯე, რომელსაც არაფითარი ნივთიე-  
რი სიმდიდრე არ შეედრება?  
მინც უკვე მშობელია, იმას, ცხა-  
ლია, გამოცდილიც ექმნება, თუ რას  
შეადგენს კეთილი, გონიერი და ხნი-  
ობრივი შვილი მშობლისათვის და  
ვინც ჯერ არ გამხდარა მშობლად, იმას  
ადვილად შეუძლიან წარმოიდგინოს  
იგი.

ნიოს გავლენა საზოგადოების აზრზედ,  
ვალდებულია მისცეს მას ამ მხრივ შე-  
საძლო შემწეობა. მან უნდა დაანა-  
ზვოს საზოგადოებას მისი ნაკლებე-  
ნება და უკანასკნელის მომსპობი სა-  
შუალებას; იგი უნდა დაუკვირდეს იმ  
საგნებს, რომელთაც ცხოვრება ახლად  
შეიქმს, გაიგოს მათი გავლენა აწმყო-  
სა და მომავალში და მისცეს საზოგა-  
დოებას შესაფერი რჩევა იმისთვის,  
თუ როგორ უნდა ამ საგნებს მოპყრო-  
ბა.

ამ მხრივ ჩვენი, ქართველების,  
მდგომარეობა ფრიად უნუგეზოა: ზო-  
გიერთ პირობების წყალობით ჩვენი  
სამეცნიერო, ბელეტრისტული და  
ბუბლიცისტული ლიტერატურა რო-  
გორც სივანით, ისე სიღრმით ძლიერ  
მცირეა. ჩვენ ორიოდ ქურნალ-გაზე-  
თი გვაქვს მხოლოდ, და უნდა ვეცა-  
დოთ, რომ ეს საშუალება მინც რი-  
გიანად გამოვიყენოთ.

მართი საკმაოდ ცნობილი ნემეცების  
პუბლიცისტი ამბობს, რომ აზრის  
ყოველ-დღიურად ბეჭდვით გავრცე-  
ლებას თავის განსაკუთრებული უპი-  
რატესობა აქვს: ამ შემთხვევაში  
მწერალს შეუძლიან მუდამ ეჩინონ  
მკითხველს თავის აზრზედ და ახალ-

ჩვენმა გლენმა იცის: „კაცო, შვი-  
ლი იმითენ მინდა, რომ სიბერის ღროს  
მამხედოს, შემინახოს; სიკვდილის შემ-  
დეგ დამხაროს და თავისზედ პატარა  
ობლებს ყური მიუფლოსო.“

ნუ მისცემ ამის მოქმედს გლენს  
შვილსა და ვნახეთ, რომელ ღონის-  
ძიებით-ღა ინუგემებს იგი? მემკვიდრე  
განურჩევლოდ ყველასა ჰსურს: ლა-  
რისსაც, მდიდარსაც, განათლებულსაც  
და გაუნათლებელსაც.

ამ სურვილს, რასაკვირველია, თავ-  
დაპირველად ბუნების კანონი ჰბადაღს  
ყოველ აღამიანში; მაგრამ ამავე სურ-  
ვილს ბევრი სხვა წერილმანი ანგარი-  
მებიცა აქვს საფუძვლად.

ბაიხსენეთ ძაცია-აღამიანის ნეტარ-  
სხენებულნი ლუარსაბ-ღარეჯანი და  
ღარეჯან-ღუარსაბი! ნახეთ, რა სასა-  
წარკვეთილება გამოიარეს უშვილობის  
გამოიხობით?

მე, ამ სტრიქონების დამწერს, სა-  
კუთარის თვლით მინახავს ერთი უშვი-  
ლო გლენი, რომელიც თითქმის ყო-  
ველ ცისმარე დღეს გადიოდა ერთ  
განმარტოვებულ ეკლესიის კარზედ და  
იქ მუხლ-მოღრვით ევედრებოდა  
ღმერთს, — შვილის ღირსი გამხადეო.

შწინდელი ებრაველები ზიზღის თვა-  
ლით უცქეროდნენ უშვილო ცოლ-  
ქმარს და ხელმძღვანელობდნენ ამ სა-  
ფუძვლით: ეგენი (უშვილო ცოლ-  
ქმარი) შვილებით არ გაახარა, გააბედ-  
ნიერა უფალმა, მაშასადამე ცოლვილ-  
ნი არიანო.

ახალი ცხოვრების მოვლენანი მოიყ-  
ვანოს მის დასამტკიცებლად.

ზემოდ მოყვანილ მოსაზრებათა  
გამო მსურს ამ განუსაზღვრელი სა-  
თაურის ქვეშ ესთქვა რამდენიმე სიტყ-  
ვა ზოგიერთ საგნებზედ, რომლებზე-  
დაც, შედარებით იშვიათად არის ხოლ-  
მე ჩვენს ლიტერატურაში სჯა. ჯერ-  
ჯერობით მსურს აღენიშნო მთაე-  
რობის მოქმედების ერთი მომენტი,  
რომელსაც საგნად საზოგადო სიკეთე  
აქვს და რომელიც რუსეთის გუბერნი-  
ებში არის, ხოლო ჩვენში მიღებული  
ჯერ არ არის. მე ვამბობ ერობის დაწესე-  
ბაზედ, რომელსაც ამ წერილში მხო-  
ლოდ აღენიშნავ და უფრო დაწერი-  
ლებითს განხილვას შემდეგის წერილის-  
თვის ვადადეგბ.

სახემწიფო წყობილების საგანს  
ყოველთვის ხალხის ყოველ-მხრი-  
ვი განვითარება შეადგენს. ეს აზ-  
რი მტკიცე საფუძველზედ დაამყა-  
რა ამ ბოლოს ღროს მეცნიერებამ,  
რომელმაც გამოიკვლია სახემწიფოს  
ბუნება და მისი დანიშნულება. აი,  
როგორ საზღვრავს სახემწიფოს დანი-  
შნულებას ერთი გამოჩენილი ნემეცე-  
ბის მწერალი: «სახემწიფოს საგანი ის  
არის, რომ თვითვეულ პირთა შვერ-

მართის სიტყვით, რომ შვილი მშო-  
ბელთათვის დიდი ნუგეზია, ამის და-  
სამტკიცებლად, დარწმუნებული ვარ,  
არც რომის ისტორიიდან ამოგლეჯი-  
ლი მაგალითთა საჭირო და არც სხვე-  
ბი, მაგრამ იმასაც კი ნუ დავივიწყებთ,  
რომ როგორც კი შვილი ანუგემებს  
და აბედნიერებს დედ-მამას, ისე ადვი-  
ლად უმწარებს და უშხამავს სიცოცხ-  
ლეს მათ ავი შვილი. რომელი მშობე-  
ლია, რომ ავი შვილი სურდეს და  
კი შვილს უარ-ჰყოფდეს? პასუხი ცხა-  
ლია: არც ერთი. ჰოველს მშობელსა  
ჰსურს, რასაკვირველია, რომ მისი შვი-  
ლი კეთილ-გონიერი კაცი გამოვიდეს,  
ამისთვის ყოველ ღონისძიებას ხმარობს,  
ცდილობს... მაგრამ, უკაცრავად...  
ხმარობს კი? ცდილობს?? მე ამ კი-  
თხვავებდ ქრელი, ანუ უთავ-ბოლო პა-  
სუხი მაქვს დახმადებული: კიდევ ცდი-  
ლობს, კიდევ არ ცდილობს. მეცდე-  
ბი ეს განვმარტო.

ჩვენს ღროში ნათლად ვხედავ, რომ  
ყოველი მშობელი, რომელიც გინდა  
წოდებისა და ხარისხისა იყოს, აუცი-  
ლებლად ზრუნავს თავის შვილის სა-  
სწავლებელში გამოზდაზედ, როდესაც  
უკანასკნელს სწავლის ვადა ნოუფა,  
ე. ი. როდესაც შვილი-რევა წლისა შე-  
იქმნება; ვხედავ აგრეთვე, რომ ბევრი  
მშობელი იქამდის თავ-გამოდებულია  
შვილის კი გზაზედ დაყენებისათვის,  
რომ იმის გულისთვის მძიმე ვალში  
ვარდება და ზოგჯერ, თუ საჭიროდ



თვით მიეცეს მას საშუალება უმად-  
 ლეს ხარისხამდე განვითარებისა, რაც  
 თვითვე უნდა მიანიჭოს მათ ის სიდიდე  
 განათლებისა, ძლიერებისა და თავის-  
 უფლებისა, რომელსაც ერთი კაცი  
 ვერ მისწვდება. თავის საგნის მიღწე-  
 ვას სახემწიფო მხოლოდ მაშინ მიუახ-  
 ლავდება, როდესაც ყურადღებითა და  
 გონიერულად მოეკიდება ცხოვრების  
 მრავალ გვარ საქმეებს: მართლ-  
 მსაჯულებას, შინაგან და გარეგან  
 მტერთაგან დაცვას, საზოგადო კეთილ-  
 დღეობას და სხვ. თვითვე უნდა ამ სა-  
 ქმრობათაგანს ათას ნაირი მხარე აქვს,  
 ასე რომ სახემწიფოს მოქმედება მრავალ  
 გვაროვანი და ვრცელი უნდა იყოს,  
 რომ ეს ფრთხილ რთული მოვალეობა  
 შესაფერად დააკმაყოფილოს. სახემწიფო  
 მმართველობაში მონაწილეობას აძლევს  
 აგრეთვე თვით საზოგადოებას. უწყებულ  
 ადგილის მცხოვრებთა სახემწიფო ვალად  
 ადებს, იზრუნონ თავიანთ საქმეებსა და  
 ამისათვის შესაფერად უფლებას ანიჭებს.  
 თვითონ კი სახემწიფო მხოლოდ თვალ-  
 ყურს ადევნებს, რომ თვითმმართველობის  
 ორგანების მოქმედება არ ეწინააღმდეგებოდეს სახემწიფოს  
 ინტერესებს. ამ გვარად ადგილობრივი  
 მცხოვრებნი, რომელთაც უკედ იციან თავიანთ  
 საქმეებიანი და მათი დამაკმაყოფილებელი  
 საშუალებანი, ვიდრე უმადლეს მთავრობისგან  
 დანიშნულ პირთ, — განაგებენ თავიანთ  
 საქმეებს. თვით მმართველობა ფრთხილ  
 სასარგებლო დაწესებულებაა, და

დანიშნავს, დაუყოვნებლივ მამულ-დე-  
 დულსაც უკედის. ამათ მართლდება  
 წესობად მოყვანილი ჩემი პასუხის პირ-  
 ველი ნაწილი.

მაგრამ ახლა ისიც განვიხილოთ,  
 რაში მდგომარეობს ჩვენი მშობლებ-  
 ბის და ნამეტნავად დედების არა-  
 მზრუნველობა, უმცვალინობა შესახებ  
 თავიანთ შვილების აღზრდასა.

რასაკვირველია, ჩემგან დიდი თავ-  
 ხედობა იქმნებოდა, რომ სრულიად  
 უარ მეყო ყოველი მზრუნველობა ჩვე-  
 ნი დედებისა თავიანთ შვილების აღზ-  
 რისათვის: არა, იგინი ზრუნავენ, მხო-  
 ლოდ მომეტებულ მზრუნველობას მა-  
 შინ იჩენენ როდესაც ამით უფრო  
 ნაკლები სარგებლობის მოტანა შე-  
 უძლიანთ და პირ-იქით, როდესაც იგი  
 უფრო ნაყოფიერი იქმნებოდა, მაშინ  
 მზრუნველობა სუსტია. მე ვგულისხმობ  
 დედის გაფრთხილებას ორსულობის  
 დროს და ბავშვის მოვლას შემდეგ  
 დაბადებისა.

ბევრი მშობელი ცხარე ცრემლითა  
 სტირის და სჩივის: ამოდენა ამაგი  
 გავსწიე, ამოდენა ფული დავხარჯე,  
 ვიტანჯე, ვიწვალე, შვილი სკოლაში  
 მივეცი და, დახე, რა უბედური ვარ:  
 სკოლიდან ვერაფერი ვერ გამოიტანა,  
 უგუნური და უსწავლელი გამოვიდაო.

ის კი არ იცის ამ მომტირალმა  
 მშობელმა, რომ შეიძლება, ძლიერ  
 ადვილადაც შეიძლება, თავის შვილის  
 უბედურად დარჩომის მიზეზი თვითონ-  
 ვე იყოს, თუმცა კი, მართალია, ბევ-  
 რი ხარჯი გაუწევია!

თუ მას მთავრობისგან რიგიანი ორ-  
 განიზაცია მიეცა, მმართველობის ყო-  
 ველს მხარეზედ ძლიერ კარგი გავლენა  
 ექნება. მასაკვირველს მაგალითს  
 ამისას წარმოადგენს ინგლისის თვით-  
 მმართველობა, რომელიც წაბადების სა-  
 განს შეადგენს თითქმის მთელი კონ-  
 ტინენტალურის მეროპისთვის.

იმ რეფორმების სისტემაში, რომელ-  
 მაც დაუმკვიდრა წარსულ მეფო-  
 ბას განსვენებულის იმპერატორის მეო-  
 რის დაუფიქარი და სასიკადლო სახელი,  
 არა უკანასკნელი ადგილი უჭირავს  
 ერობის შემოღებას. შრომას მინდა  
 კანონმა უწყებულ ადგილის ზო-  
 გიერო საქმეებზედ ზრუნვა, და მართლაც  
 ამ დაწესებულებამ დიდი ღვაწლი  
 დასდო სახემწიფოს, თუმცა დაწესების  
 შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია.

მ. ქაჭავაძის შვილი.

ქ. იანსულაჯი. თებერვლის 18.ს.

**შინაური ქრონიკა**

— თბილისის სამსჯავრო პალატაში,  
 მარტის 9-ს განხილულ იქნა საქმე,  
 თბილისის სემინარიიდან გამორიცხუ-  
 ლის შეგირდის, ივ. მაჭავარიანისა. მსვე  
 საქმე შარშან გაიჩნა, ოლქის სასამართლოში,  
 რომელმაც მაჭავარიანი დაშინაშევედ  
 სწრა და თბილისის სასულიერო სემინარიის  
 რექტორი.

რა იციან ჩვენმა დედებმა რომ,  
 თუ მათ ებადებათ მუნჯი, ყრუ, ბრმა,  
 კუზიანი, კუტი და საზოგადოდ მხინ-  
 ჯი და სნეული შვილი, მომეტებულ  
 ნაწილად (არ ვიტყვი „ზოგჯერ“) თვითონვე  
 არიან დამნაშავენი, ანუ უკედ ესთქვათ  
 მათი უმეცრება და გამოუცდელიობა  
 დამნაშავე! როგორ თუ თვითონ ჩვენა  
 ვართ დამნაშავენი? — იქნება მკითხონ  
 გულ-მოსულმა დედებმა. მაშინ არდით,  
 ბატონებო, ჰკითხეთ მეცნიერებს და  
 მაშინ გამკიცხეთ, — ვუპასუხებ ამათ.  
 რა მეცნიერება, რის მეცნიერება, მხინჯი  
 შვილი ღვთის ნებააო, მიპასუხებენ  
 იგინივე. მერწმუნეთ — მშრომთ დაუ-  
 წესებია, რომ კაცს უნდა ჰქონდეს  
 მთელი თავი, მთელი თვალი და მთელი  
 ხელი და თუ ვინცოცაა ჩვენს შვილს  
 რაიმე მანკი სნეულება დაჰყვადის  
 მუცლიდან, უეჭველად პასუხისმგებელი  
 ჩვენა ვართ, ან ჩვენი წინაპარნი არიან.

ბავშვის სიმთელეზე და საზოგადოდ  
 მის ბედნიერებაზედ მშობელმა უნდა  
 იზრუნოს არამცთუ მის შობის შემდეგ,  
 არამედ ჯვარის-წერის წინაც კი. მშობლის  
 ფიზიკურს, გონებობის და ზნეობის  
 განვითარებაზედ და მდგომარეობაზედ  
 არის დამოკიდებული შვილის სიცოცხლის  
 აყვარება. მაშასადამე, თუ მშობელი  
 წინააღმდეგ მოიწადინებს, შეუძლიან,  
 თუ სრულიად არა, ცოტათი მაინც შეე-  
 ბუქოს მოსალოდნელი სატანჯველი.

რის მოადგილის მოქმედებით შეუ-  
 რაცყოფისათვის გადაწყვიტა ორი თვე  
 და ოცის დღით ციხეში ჩასმა. პროკურორი  
 არ დაჰბუღდა ამ გადაწყვეტილებას და  
 პალატაში გადაიტანა. როგორც პირველს  
 ინსტანციაში, აგრეთვე მეორეში ი. მაჭავარი-  
 ანს იცავდა ნაფიცო ვეკილი ბ. ქაჩავაძე.

პალატამ მცირე ბაასის შემდეგ პროკურორის  
 და დამცველის შორის, ბრალდებულ  
 მანქანის მე-7 მუხლის ძალით სრულიად  
 გაამართლა.

— ჩვენ გვატყობინებენ, რომ „წერი-  
 კითხვის მმართველობას“ მოსვლია ქალაქი  
 სოფ. ახალქალაქის სკოლის მასწავლებლისა,  
 რომელიც წიგნებით შემწვობას სთხოვს  
 ხსენებულს მმართველობასაო. აგერ  
 რამდენიმე სამშაბათი (სხლამისთვის  
 დანიშნული დღე) გადის, მაგრამ ეს ქალაქი  
 განხილული არა ყოფილაო. სკოლა-კი  
 დროით საქმეებს შემწვობას და ასეთი  
 დავიანება ვერაფრით აგვისნაო.

— შორის თვით-მმართველის ზოგიერთს  
 წევრებს შორის აღძრულა სურვილი  
 საქალაქო თვით-მმართველობის  
 დახურვისა.

**უცხოეთი**

**აშლანის სამხმნი.**

ინგლისის სამინისტროს ორგანი  
 „Daily News“ ი ზედიზედ გაცხარებ-

შოველ საქმეს თავიანთივე ექიარება  
 კი მოსაზრება; მოსაქმე კაცი ჯერ უნდა  
 შეიარაღდეს უსაქიროკის იარაღებით,  
 მოიხზალოს ნიადგი და შემდეგ დაიწყოს  
 მოქმედება; მხოლოდ ამ პირობების  
 დაცვის შემდეგ შეუძლიან მისმა შრომამ  
 ნაყოფიერი შედეგი იქონიოს.

მებაღეს ჰსურს, მაგალითად, კი ვაშლის  
 გაჩენა. იგი მიდის სხვა მებაღესთან,  
 სთხოვს მას კი ჯან მის ვაშლის ნერგს  
 ანუ თესვს; მოაქვს თავის ბაღში, ურჩევს  
 თავისუფალ ადგილს, შესაფერ ნიადგს  
 და ისე რგავს, ზნუ სთესავს; მაგრამ  
 მისი მზრუნველობა წადილის მისაღწე-  
 ვად ამით არა თავდება: ნერგი ხეირობს,  
 იზრდება, — მეზღვე კიდევ არ აკლებს  
 თავის ყურადღებას: იგი რწყავს,  
 სხვაავს, გარშემო მიწას უბარავს  
 და ამ გვარად იქამდის ჰპატრონობს,  
 სანამ მცენარე გამარდება და  
 სასურველს ნაყოფს გამოიღებს.

ასევე სჩადიან შინაური კი ჯან მის  
 ცხოველების და ფრინველების მომშენებ-  
 ლნი.

თუ ეს ასეა, მაშ რა უნდა ქმნას  
 კი შვილის მდომამ ადამიანმა? — მან  
 ამანდ უნდა იზრუნოს ძლიერ ადრე  
 — შვილის დაბადებამდე და აგრეთვე  
 პირველ ხანებში შემდეგ დაბადებისა.  
 მანა ეხლა კი არა ზრუნავენ ჩვენი  
 დედები ამანდ? — ზრუნავენ, მაგრამ  
 ეს მზრუნველობა დამყარებულია  
 მხოლოდ მამა-პაპურს ტრადიცი-

ბულის წერილებსა შექცეულ რუსეთის  
 წინააღმდეგ აქვს ს. სანდლენკის წიგნი  
 მო. „რუსეთმა, — ამბობს ეს გაზეთი, —  
 უნდა დაუყოვნებლივ დასტოვოს ის  
 ადგილები, რომელნიც მან უსამართლოდ  
 დაიჭირა. მას (რუსეთს) ჯერაც კი არა  
 ვითარ სურვილი არ განუცხადებია  
 რისანე დათმობისა, რომ ამ დათმობით  
 ინგლისისა და რუსეთის შორის საქმე  
 მორიგებაზე წასულიყო. მს დროებითი  
 შეთანხმება ჩვენის მხრით, დროებითი  
 მორიგება არავის არ უნდა ავიჭრებდეს,  
 რომ საქმე უკვე მშვიდობით გათავებული  
 იყოს. ჩვენის მხრით უარყოფა, მოუთხოვნელობა  
 რუსეთისაგან, რომ მან დასტოვოს თავის  
 მიერ დაჭერილი ადგილები, შეუძლებელია;  
 ეს იქმნებოდა ჩვენთვის საშიშარიც და  
 თან თავის დამდაბლებაც. ღვთის  
 აბლურაჰმანი ჩვენი მეგობარი  
 ყოფილა. რა აიძულებდა მას ჩვენდამი  
 მეგობრობას — ეხლა ამის განმარტება  
 არ შეუძლებელია. საქმე ის არის, რომ  
 მძირი კარგა ხანია, რაც ხელს გვიშვებს  
 ჩვენ, დავაღებულია ჩვენგან და, გადხდა  
 ეს ვალი ითხოვს. მაგრამ ადამიანის ბუ-  
 ხება, და მით უმეტეს ავღანელებისა,  
 ვერ შეუთვინდება, ერთგულებას ვერ  
 გაუწევს, ვერ დაინდობს იმ მოკეთეთ,  
 რომელთაც გაცემა, ლალატი ადვილად  
 შეუძლიათ. თუ მძირი დავტოვებ ჩვენ,  
 ხელი არ მივაწვდინებ — იგი მალე  
 მოსძებნის მომხრეს. მძირს რუსეთისადმი  
 მაინც და მაინც ისეთი დიდი სამღუ-  
 რავი არა უმართებს-რა, რომ გარემოებამ  
 ეს სამღურავე მეგობრობად

ულს ჩვეულებებზედ, რომელთა შორის  
 ბევრს სულ უკუღმართად მიჰყავს  
 მშობელი დედა. მოგვხსენებთ, როგორ  
 ესმოდათ ჩვენს მამა-პაპას ფიზიკა,  
 ფიზიოლოგია, ანატომია და ჰიგენა?  
 პირველი მოვლა ბავშვებისა ამ  
 საგნებზედ არის დაფუძნებული: არა  
 აღასრულებთ მათგან დადებულს პირობებს,  
 იმედსაც ნუღარ იქონიებთ, რომ მზავში  
 უსათუოდ შეგორებათ, ან გამოვა  
 ჯან-მრთელი, გონიერი და და თავის  
 თავისა და ქვეყნის მარგებელი.

სად შევისწავლოთ ახლა ეს საგნებიო,  
 მკითხავენ დედანი? — ჩვენს დროს  
 ძნელი და გასაჭირი აღარაფერი არა  
 არის-რა: საჭიროა მხოლოდ, რომ კაცმა  
 საკუთარი უმეცრება იგრძნოს, თორემ  
 მასწავლებელი, მაჩვენებელი, ჩამგონებელი  
 და დამრიგებელი მას თავის თავად  
 გამოუჩინდებიან. ღლითი-დღე გამოდიან  
 სხვა-და-სხვა გვარი ყველასათვის  
 ადვილად შესაგნები სახელმძღვანელო  
 წიგნები უცხო ენებზედ, როგორც  
 შესახებ სხვა საგნებისა, აგრეთვე  
 შესახებ მშობლების დარიგებისა,  
 ბავშვების მოვლისა და აღზრდისა.  
 თუ კი ზოგჯერ ჩვენ სხვას ვკითხავთ  
 ხოლმე რჩევას, ხშირად ვკითხულობთ  
 წიგნებს ლობიოსა და ბოზბაშის  
 გაკეთებაზედ, ლენოს დაყენებაზედ,  
 ქათმისა და ფუტკრების მოვლაზედ,  
 ნუ თუ გულს დასძმარავს ჩვენთა  
 დედათა, რომ წაიკითხონ საკუ-



რ შესცვალოს; საკმაოა მოაღიერება აერთის მხრით და მცირე დათმობა მეორეს მხრით — და მეგობრობა განმტკიცდება. ისიც ცხადია, რომ ემირი მუქთად არ გვემსახურება ჩვენ. მაგრამ საქმე ეს არ არის ინგლისის მინისტრნი ვერ დაარღვევენ, ვერ უარ ჰყოფენ ინგლისის სიტყვას, იმიტომ რომ რუსეთმა ხმა აიმაღლა. „ძლიერება, ერთობა და ჩვენდამი მეგობრობა აქლანისტანისა“ ჯერ არ გაქრალა; მით უმეტეს რომ ეს საჭიროა ჩვენი სამფლობელო ინდუსტრიათვის. მაგრამ ეს ქვეყანა, ცხადია, ჩვენდამი მოწინააღმდეგე ნაწილებად განიყოფება, თუ-კი აბლურაჰმანი თავის მტრებს მივანებეთ.“

ინგლისურს ვახ. „Standard“-ს შეუტყვიან ნამდვილად წყაროებიდამ შემდეგი განაწილება რუსის ჯარისა საშუალო-აზიაში: მერვეში, სოლოტანი და სარი-იას ში პოლკოვნიკის ალიხანოვის უფროსობის ქვეშ დაბანაკებულია სამი ათასი რუსის ჯარი, ათასი თურქმენთ ცხენოსანი ჯარი და თექვსმეტი ზარბაზანი. სარ-ახსში იღვა ამ ცოტას ხანში ორი ათასი რუსის ჯარი, მაგრამ ეხლა ნაწილი ამ ჯარისა წასწიეს წინ საზღვრებისაკენ. პული-კისტში სდგას ხუთასი ცხენოსანი ჯარი თურქმენებისა. ასხაბადში მდგომი ჯარი რვა ათასამდე უნდა აიყვანონ. ამ ქალაქს ამაგრებს ოცდაათი ზარბაზანი. ასხაბადის გარნიზონი შეივსება იმ ექვსი ათასი ძავესის ჯარით, რომელიც გამხადებულია ასხა-თექვსაცენ ვასამ-

გზავრებლად. აგრეთვე შეივსება მერვეში დაბანაკებული ჯარი შივა და ბუხაროდამ.

### ცელეგრამები

„ჩრდილოეთის სასაგისტოსი“.

მარტის 18-ს.

პატიარბუზი. „სკარამონგის და ამხ.“ ფირმის კრედიტორებისაგან გუშინდელს მომხდარს საზოგადო კრებაზედ კრედიტორებს წარმოდგინეს ბალანსი, რომელითაც პეტერბურგის, ლონდონის, ტაგანროგის და როსტოვის (დონზე) ფირმების საზოგადო. ვასივი შეადგენს 285,000 გირვ. სტერლინგს, აქტივი — 162,000 გირ. სტერ. მარსელის კანტონის ბალანსი ნადღია; ზარალი არ არის; წაგება იმდენი არ არის, რამდენსაც მოელოდნენ.

მოსკოვი. ცნობილია მოიჯარადრემ, კომერციის სოვეტნიკმა, მალგეიდიმ მოსკო თავის საქმეთა წარმოება და შუამდგომლობს ადმინისტრაციის დახრებისათვის. ამბობენ, ვასივი 2,000,000-დგაო.

ხარკოვი. ტაგანროგის დამოკნის საქმის თაობაზე გადაუწყვიტეს: მოხელეთ: ჩუღეს, გუზოვლევის, აიკანოვის, ზუბოვის და დიპსკის ტომისკის გუბერნიაში დასასახლებლად ვაგზავნა, ვაჭარს

მინები, ხანდის-ხან სრულიად უბრალოებიც, მაგალითებრ, რას ნიშნავენ სიტყვები: ფიზიკური, იდიოტი, ფიზიოლოგია, ფაქტი და სხვ.

გონებ, სრულიად საკმარისი იქმნება დავანახო ჩვენს დედებს, თუ რამდენად სასარგებლოა მათთვის ხსენებული თარგმანი. ამისთვის მხოლოდ დავასახლებ წიგნი მოყვანილ სათაურებს. აი, ესენი: 1) როგორი მოქმედება აქვს დედ-მამის სიმრთელეს შვილების სიმრთელეს, 2) მიმხიდველობა შთამომავლობითი სწეულებისადმი, 3) ახლო ნათესავების ქარწინება, 4) ცოლ-ქმრის შეუღლების დრო, 5) დედ-მამის წლოვანების განსხვავება, 6) მშობლების მდგომარეობა, 7) რა გავლენა აქვს ბავშვის სიმრთელეზე დედის ცხოვრებას ორსულობის დროს, 8) დედის გუნების მდგომარეობა, 9) საკმელ-სასმელი, 10) დედის მიზეზიანობა ორსულობის დროს, 11) ტანთ-საცმელი, 12) სხეულის ვარჯიშობა, 13) ბანაობა, 14) ყმაწვილების ხშირი სიკვდილი უმთავრესად მშობლის უმეცრებისაგან წარმოსდგება, 15) ბავშვების სიმრთელე დამოკიდებულია აგებულების კანონების აღსრულებაზედ, 16) ბავშვის მდგომარეობა დაბადების შემდეგ, 17) ახალ დაბადებული ბავშვის მოვლა, 18) ყმაწვილის ძუძუს ვამეგბინება, 19) სისუფთავე, სხეულის მოძრაობა და ძილი ყმაწვილის პირველ ხანში, 20) როგორი ძიძა უნდა აიყვანოს

ვალიანოს — ტობოლსკის გუბერნიაში; ხაზინის სასარგებლოდ გადაწვეტილია გადახდეთ: მონედეთ 275,000 მან. ოქროთი და ვალიანოს — 396,476 მან. სამკეცის გადასახადისა ოქროთი და ფასი კონდრაბანდით გადმოტანის საქონლისა — 368,866 მან. კრედ. ბილეთებით. დიდი ჯარიმა დაედვთ აგრეთვე სხვა ბრადდებულ ვაჭართაც.

ბაქოში. აქაურმა გაზეთებმა ქებითი წერილები უძღვნეს მიცვალებულს რუსის ელჩს თავ. ორლოვს. „ჩრდილოეთ-გერმანიის საზოგადო გაზეთი“ ამბობს, რომ მიცვალებულის არა ჩვეულებრივმა წინდახედულობამ და იშვიათმა ტაქტმა მიანიჭეს მას ნდობა და დრმა პატივის-ცემა იმ პირთაგან, რომელნიც მასთან ერთად სამსახურს ეწვეოდნენ, ანუ კერძოდ რაიმე საქმე ჰქონდათ. მისი გარდაცვალებით რუსეთს მიაკლდა ნამდვილი მამულის შვილი, დიპლომატების წრე ჰყარგავს მასში გამოჩენილს სახემწიფო კაცს და თავ. ბისმარკი — გამოცდილს მეგობარს.

პარიში. ჩინელებთან ომისათვის გამოვიდა ბრძანება, მოწვეულ იქმნას ყველა მეოთხე ბატალიონები, ყველა პოლკებში თავისუფლად შეწერილნი და გაწერილ იქმნას 5,000 ჯარის კაცი განპირა მცხოვრებთა-მორის, რომელნიც სიაში

ბავშვის მოსაწოებლად და ან ამ ძიძას როგორი ყოფა-ქცევა უნდა ჰქონდეს, 21) რა და ან როგორ უნდა აკამონ ბავშვს, როდესაც დედას ძუძუს წოება არ შეუძლიან და ვერც ძიძას შოულობენ, 22) ბავშვების მოვლა კბილების ამოკრის დროს, 23) როგორი მოვლა უნდა ბავშვს ძუძუს ვამეგბინების შემდეგ ორის წლის შესრულებამდის და სხვა და სხვა.

დასასრულ მოგვყავს მთარგმნელის რამდენიმე სიტყვა წინასიტყვაობილად.

„ძაცის ბედნიერებისათვის ყველაზედ უმთავრესად ის არის საჭირო, რომ იმას მთლად ჰქონდეს გახსნილი როგორც სხეული, ისე გონება. რადგანაც ყოველ კაცსა ჰსურს ბედნიერად იყოს, ამისათვის ყოველი ჩვენი მეცადინეობა უნდა მოვიხმაროთ იმ პირობის დასასრულებლად, რომელზედაც უმთავრესად დამოკიდებულია ჩვენი ბედნიერება... ძაცს რომ სხეული და გონება კარგად და მთლად გაეხსნას, პატარაობითვე კარგი მოვლა უნდა ჰქონდეს. ძველ მსხლის ხეს რაც უნდა კაი მოვლა ჰქონდეს ისეთ კარგს მსხალს ვერ მოიხსნას, როგორც კარგი მოვლით შენახული იმავე მსხლის ახალი ნამყენი. ისრე კაცია: თუ იმას პატარაობითვე ცუდი მოვლა აქვს, დიდობისას, რაც უნდა კაი მოვლა ჰქონდეს, სხეულით და გონებით მაინც ისე მთელი და გახსნილი არ იქმნება, როგორც პატარაობიდგანვე კაი მოვ-

არის ჩაწერილნი. მინისტრთა რჩევამ შეიმუშავა განიხ-ბროექტის ტექსტი 200 მილ. ფრ. კრედიტზე; პროექტი წარდგენილ იქნა ვალატაში. მმართველობამ წინდადება მოახდინა ამ პროექტის დაუკოვნებლად განხილვისათვის. ვალატამ უარ-ჰყო ფერის წინდადება, რის გამო სამინისტრომ დათხოვნის ქადაღდი შეიტანა; თანკინში ჯარების ვაგზავნას უკვე შეუდგენ. ნეგრიე ბრიგადის გენერლად დაინიშნა.

მარტის 29-ს.


პატიარბუზი. „ახალი დროება“ გვაცნობებს, რომ სახელმწიფო ბანკს ნება მიეცა თორმეტი თვის სავაჭრო ვექსილებით ფული გასცეს და აგრეთვე ასესხოს მწარმოებელთა ამხანაგობათა ვაების და აქციების გირავნობით; გაცემა ფულისა ფაბრიკების, ქარხნების და მანუფაქტურის აქციების გირავნობით ნება დართული არ არის.

პარიში. გუშინ ძეგრიმ შეატყობინა ვალატას, რომ საფრანგეთის ჯარმა ჩინეთის სამზღვრიდამ ტონკინის დელტამდე დაიწიო, ამასთანავე განაცხადა, რომ საფრანგეთის იარაღის პატივი უნდა ავადგინოთ და ითხოვა ომის გასაგრძობად 200 მილ. ძრანკი, რომელიც უნდა მიეცეს იმ დროდინ სინამ განიხილავდენ კირხვას — ენდობიან სამინისტროს თუ არა

ლილი. მაშასადამე უმთავრესი ჩვენი მოვალეობა ის არის, ბავშვების მოვლას კაი ყურადღება მივაქციოთ. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ქართულს ენაზედ სრულებით არა გვაქვს ისეთი წიგნები, რომელნიც ამ საგანს შეეხებოდნენ და რომელნიც ბავშვების მოვლის დროს ხელმძღვანელად ეიქანოთ. ამის გამო მოვიწადინე მომეპოვა და გადმომეღო ქართულს ენაზედ ისეთი წიგნი, შესახებ ბავშვების მოვლისა, რომელსაც მოეტანა ჩვენი ხალხისათვის რაოდენიმე სარგებლობა. ბოლოს ჩემი სურვილი ასრულდა.

„ამ ცოტა ხანში დოქტორმა ძომბმა (ძომბი არის ინგლისის კოროლევის დოქტორი და მდინბურგის საკოროლოს საექიმო კოლეგიის წევრი) შეადგინა ინგლისურს ენაზედ სახელმძღვანელო წიგნი შესახებ ბავშვების მოვლისა, რომელიც არის დანიშნული განსაკუთრებით დედათათვის. მს წიგნი ინგლისში და სხვა ქვეყნებში ისე რიგად მიიღეს, რომ ამ მოკლე ხანში ინგლისურს ენაზედ ცხრაჯერ გამოიცა. რუსებმაც გადმოთარგმნეს და სამს წელიწადში ორჯერ გამოსცეს... ბაღმოთარგმნეს აგრეთვე სომხებმაც... და სხვ.“

აღ. მიწანაშვილია.



ფერის არა ერთხელ გააწყვეტინეს სიტუაცია უკმაყოფილების ნიშნად, უკიდურესმა მარცხენა მხრის წინამძღოლმა კლემენტმა ითხოვა ნება მიეცათ მისთვის, რომ კაბინეთისათვის ფორმალურად მოეთხოვა ტონკინის საქმეების ვითარება და სთქვა, რომ ფულის მიცემის თანხმა ვარ, თუ სამინისტრო გადაუწეველი იქნება; ესევე აზრი განაცხადეს ბონაპარტიელმა დიუვალმა და ზოგიერთმა დეპუტატებმა, რომელნიც კაბინეთს ამტყუებდნენ სიმართლის დაფარვაში. ფერიმ ითხოვა, რომ წინაპირველად 200 მილ. ფრანკის თხოვნა გადაეცათ საპარლამენტო კომისიისათვის გასახილველად. ფერის თხოვნა 308 ხმამ უარ ჰყო და 161 ხმამ კი მიიღო; კლემენტს წინადადება კი, იმის შესახებ რომ მისი თხოვნა პირველად იქმნას განხილული, პალატამ მიიღო. ფერიმ განაცხადა, რომ, რახან საქმემ ამის-

თანა მიმართულება მიიღო, კაბინეთი სამსახურიდამ გამოდისო. რამდენამდე დეპუტატმა სამინისტროს სასამართლოში მიცემა ითხოვა.

**პარიში.** გუშინ უცხო საქმეთა სამინისტროში შეიკრიბნენ დელეგატები სევეის არხის შესახებ მოსალაპარაკებლად.

**ლონდონი.** ჭიკმორისმა განაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რომ თუკაც რუსეთისაგან პასუხი ჯერ არ მოსულაო, მაგრამ, როგორც მან იცის, პასუხი მშვიდობიანი ხასიათისა იქნებაო, რისათვისაც მას, ჭიკმორისს, არა სურს არავითარი განცხადების შეტანა, რომელიც საქმის მშვიდობიანად გათავებას ავნებსო.

### განცხადებანი

**ჰურჯალი! ჰურჯალი! ჰურჯალი!!!**

ძალიან ბევრია ინგლისის მალაზიაში. იქვე ისყიდება ძალიან იაფად ერთი ნაჭერი მიწა მტკერის პირზედ.

(10—1)

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის მოწერისა

**სურათებიან ვეფხის-ტყაოსანსე,**

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ცხლადე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ, ,,დროების“ რედაქციაში. შპსი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსნისა, იქნება რვა მანათილამ ამ მანათილამ, ხარჯის კვალობაზე. ხელის - მომწერი ფულის შემოტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი მზილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს, ან ეს

კვიტანციად უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი კვიტანციის განკარგვას ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი «ვეფხის-ტყაოსნის» გამომცემელი

გ. ქართველიშვილი.

(25—4)

### დაქილვა

ნახევარ ფასად: ტანისამოსი, ქუდები, ჩოთქები, პენალები, კრანები, ნიჩბები, სურათები, საფხეკი, სახეხი, ქაღალცი, პორტსიგარები, სალესავი და სხვ. და სხვ. ინგლისის მალაზიაში.

(10—10)

**მოკვლადი**

ს. სიუ და ძო.

(II. 2542). (46—7)

## ბ ა ლ ა ნ ს ი

ჭუთაისის თავად-ახანაშკით სააღრილ-გამულო ბანკისა 1 იანვრის 1885 წლისა.

**აქტივი.**

**პასივი.**

აქტივი	მან.	კ.	პასივი	მან.	კ.
	მან.	კ.		მან.	კ.
ქასსა: ნაღდი ფული	18,551	39	ძირეული თაენი		
ბირავოს ფურცლები	98,500	„	სათადარიკო თანხა		
შული მიმდინარე ანგარიშებზე:					
ა) სახელმწიფო ბანკის ობილისის განყოფილებაში	61,944	35	თანხა: ა) საზოგადო საქიროებათა	18,503	66
ბ) ობილისის კომერციულს ბანკში	40,946	37	ბ) სტიპენდიებისა	9,110	53
ბ) ჭუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში.	78,318	40	ბირავოს ფურცელნი, მსვლელობაში მყოფნი:		
საწევრო ფული ჭუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში.			ა) 43 <sup>1</sup> / <sub>2</sub> წლიანი	942,700	„
სახელმწიფო სარგებლიანი ქალაქდები, შენახულნი სახელმწიფო ბანკის ობილისის განყოფილებაში:			ბ) 18 <sup>7</sup> / <sub>12</sub> „	2,586,900	„ 3,529,600 „
ა) ბირავოს ფურცლების გამოცემის უზრუნველ საყოფლად (§ 50 წესდებისა) (220.000)	202,417	39	თანხა, სესხთა მოსასობი:		
ბ) ბირავში გამოსული ბირავოს ფურცელთა და კუპონთა ზღვევის უზრუნველ საყოფლად (50.000)	46,763	80	ა) 43 <sup>1</sup> / <sub>2</sub> წლიანთა	3,326	92
ბ) სათადარიკო თანხის სასაკუთრონი (39.000)	35,756	72	ბ) 18 <sup>7</sup> / <sub>12</sub> „	57,358	25
სხვა სარგებლიანი ქალაქდები ბანკის კასსაში:			„ სარგებლისა:		
ა) ბანკის სასაკუთრონი (41.700).	37,447	28	ა) 43 <sup>1</sup> / <sub>2</sub> წლიანთა	28,266	66
ბ) საზოგადო საქიროებათა თანხისა (8.100)	7,452	„	ბ) 18 <sup>7</sup> / <sub>12</sub> „	77,121	47
ბ) სასტიპენდიო თანხისა (8.700)	7,819	40	ჭოველ-წლიური შემოსატანი ფული ბანკის ხარჯების დასაფარავლად, საზოგადო საქიროებათა თანხის შესადგენად და სხვ.		
სახელმწიფო სარგებლიანის ქალაქდების სარგებელი 1 იანვრამდე 1885 წლისა			საზღვეველნი, მაგრამ ჯერ წარმოუდგენელნი დასაზურადებლად:		
სესხნი: ა) სოფლის ადგილ-მამულებზე 43 <sup>1</sup> / <sub>2</sub> წლით	942,700	„	ა) გირავოს ფურცლების კუპონები.	109,743	„
ბ) ქალაქის მამულებზე 18 <sup>7</sup> / <sub>12</sub> წლით	2,586,900	„	ბ) გირავოს ფურცელნი, ტირაჟში გამოსულნი	74,700	„
„ მოკლე ვადიანი			მაღამდე მოსაბილნი სესხნი:		
მოვალენი: ა) გარდასახადი ფული, რომელსაცა აქვს ლგოტა	174,230	53	ა) გირავოს ფურცლებით	12,200	„
ბ) „ ვადას გადაცილებული.	58,482	32	ბ) ნაღდი ფულით	387	75
ბირავოს ფურცელნი, ვალის მოსასობლად წარმოდგენილნი			სარგებელი მოკლე ვადიანთა სესხთა		
მაღამდე დაზურადებული კუპონი			ზადასაცემი ფული		
სხვა-და-სხვა დებიტორები			პრო-დროებითი შემოსატანი ფული		
ხარჯები: ა) დასაბრუნებელნი			სარგებლიანი ქალაქდები:		
ბ) მოწყობ-მოართულობაზე			ა) შესანახავად	27,800	„
ბანკის კორესპონდენტები			ბ) ბანკის სასაკუთრონი და სხვ.	70,700	„
<b>ბალანსი</b>	<b>4,609,628</b>	<b>80</b>	სხვა-და-სხვა კრედიტორები		
			ტეცხლისაგან ზარალის საზღვევი		
			წმინდა მოგება		
			<b>ბალანსი</b>	<b>4,609,628</b>	<b>80</b>

(1—1)